

შაქრო საფაროვი

დაიბადა 1862წ. 16 ივლისს კახეთის სოფ. ძველ გავაზაში, ყოფილი სამხედრო პირისა და წვრილი მემამულის ოჯახში. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. ჯერ მამის, შემდეგ კი უფროსი დის, მარიამ (მაკო) საფაროვა-აბაშიძის ხელმძღვანელობით, რომლის მეშვეობითაც გაეცნო ის სასცენო ხელოვნებას და დაუახლოვდა თეატრს. პირველად სცენაზე გამოვიდა თბილისში, 1881წელს, რეჟისორ მ. ბებუთოვის მიერ თბილისის ძველ სახაზინო თეატრში დადგმულ დავით ერისთავის პიესაში „სამშობლო“ და ითამაშა დაუდბეგის ეპიზოდური როლი. ამ პერიოდიდან შაქრო საქრო საფაროვი აქტიურად მონაწილეობდა როგორც დრამატული დასის, ასევე სხვადასხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლების სახალხო წარმოდგენებში, როგორც მსახიობი ისე რეჟისორი. მან გარშემო შემოიკრიბა თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული მეგობრები, საკუთარი ხარჯებით შექმნა დეკორაციები და თბილისის ქუჩებში თავისი რეჟისორობით დადგმულ წარმოდგენებს მართავდა. არ დარჩენილა ქალაქის არცერთი უბანი, სადაც მას საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენები არ გაემართოს. პიესების დადგმის გარდა ის დივერტისმენტებსაც მართავდა, რომლის დროსაც ხშირად პირველად იკითხებოდა ლექსები და სხვადასხვა სცენები.

80-იან წლებში შაქრო საფაროვი მეგობრებთან ერთად გამოსცემდა ხელნაწერ გაზეთს „ბურუსი“. იმავე პერიოდში ექსპედიტორად მუშაობდა გაზეთში. 1910-11წწ. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ლიტერატურულ – პოლიტიკური გაზეთი „ხალხი“, ყოველგვარი პარტიულობის გარეშე, რომელიც მთავრობამ მალევე დახურა. შაქრო საფაროვი ერთხანს მიმაღვაში იმყოფებოდა, მაგრამ 1912წ. მიწურულს მაინც დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც 1913 წლის თებერვლის მანიფესტამდე დაჰყო. სწორედ ციხეში ყოფნის დროს გადააკეთა მან ხუთმოქმედებიან პიესად ანა ფურცელაძის რომანი „მაცი ხვითა“. 1921- 27წწ. შაქრო საფაროვი ირიცხებოდა მსახიობად თბილისის რუსთაველის თეატრში და პარალელურად განაგრძობდა მუშაობას სხვადასხვა კლუბებთან არსებულ დრამატულ წრეებში. იყო საქალაქო მილიციის დრამატული წრის ხელმძღვანელი.

შაქრო საფაროვი უმთავრესად ასრულებდ სახასიათო-კომიკურ როლებს. ცნობილია როგორც სცენაზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანი. მან თავისი წვლილი შეიტანა დრამატურგიაშიც და თარგმნა მრავალი პიესა: „მრუდე სარკე ანუ ალიაქოთი თეატრში“ პიესა 2 სურათად, „მომხიბლავი სასმელი“ ოპერეტა 1 მოქმედებად, „კუდრაჭა ანუ ქუჩის გოგო“ პიესა 3 მოქმედებად, „ერთხელ საღამოს“ დრამა 2 სურათად, „მიწამ გაიღვიძა“ პიესა 3 მოქმედებად, „საბჭოთა ეშმაკი“ კომედია 3 მოქმედება. „სურამის ციხე“ დრამა 5 მოქმედებად. ავტორია ერთმოქმედებიანი ვოდევილებისა: „მატყუარა განდეგილი“ „ლანდი“, „რამდენი შვილი მყავს“, „წერტილი“, „დებიუტის მაგიერ“, „მე მოკვდი“ და სხვა. თარგმნა: „ომი ინგლისელებისა ბურებთან“ ფარსი 1 მოქმედებათ, „შრომა და კაპიტალი“ დრამა 5 მოქმედებად და სხვა.

1920წ. 23 მაისს შაქრო საფაროვს გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე.

გარდაიცვალა 1928წ. 24 აგვისტოს. თბილისში. დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. შაქრო საფაროვის ქართული თეატრის აბონიმენტი.
1906–1907წწ. დასტამბული. 1 ც.
2. წესები ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასში მყოფ სცენისმოყვანეთათვის შევსებული შაქრო საფაროვის სახელზე.
ხელს აწერს: გამგეობის თავმჯდომარე. გვარი არ იკითხება. 1908წ. დასტამბული. ბეჭედდასმული. 1 ც. 32 გვ.
3. ქართული დრამატული საზოგადოების მოწმობა შაქრო საფაროვისადმი, 1882–1911წწ. ქართული დრამატული საზოგადოების დასის შემადგენლობაში ყოფნასთან დაკავშირებით.
ხელს აწერენ: თავმჯდომარე– ერისთავი. მდივანი – გვარი არ იკითხება. 1912წ. 30 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ
4. თბილისის ქართული დრამატული საზოგადოების მიერ გაცემული საშვი შაქრო საფაროვისადმი, ქართული სცენისმოღვაწეთა პირველ ყრილობაზე დასასწრებად. 1914წ. 8 ივნისი. დასტამბული. ხელნაწერი. 2 ც.
5. შაქრო საფაროვის ქორწინების მოწმობა.
1916წ. 7 დეკემბერი. დასტამბული. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. დაზიანებული. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.
6. შაქრო საფაროვის ქართული კლუბის ბილეთი.
1918წ. დასტამბული. 1 ც.
7. სახელმწიფო თეატრის კომისრის მისალოცი წერილი შაქრო საფაროვისადმი, სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელს აწერს: სახელმწიფო თეატრის კომისარი, ალ. წუწუნავა. 1920წ. 23 მაისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.
8. ქართველ მსახიობთა კავშირის მისალოცი წერილი შაქრო საფაროვისადმი, სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელს აწერენ: თავმჯდომარე, მდივანი– გვარი არ იკითხება.
9. საბურთალოს მუშათა კლუბის გამგეობის წერილი შაქრო საფაროვისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამოს გამართვასთან დაკავშირებით.
ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე: ლ. ბაქრაძე, მდივანი – თ. ებიაშვილი. 1920წ. 9 ივნისი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.
10. თბილისის მუშა–გლეხთა მილიციის უფროსის მოწმობა შაქრო საფაროვისადმი, მათ რიგებში მუშაობისა და მილიციის კლუბის დრამსტუდიის ხელმძღვანელად მივლინების შესახებ.
ხელს აწერენ: სამმართველოს უფროსი, საქმეთა მმართველი– გვარი არ იკითხება. 1921წ. 12 ნოემბერი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. თბილისის საოპერო სახელმწიფო თეატრის მოწმობა შაქრო საფაროვისადმი.
ხელს აწერს: სახელმწიფო თეატრის კომისარი, ალ. წუწუნავა. 1922წ. 1 სექტემბერი. დასტამბული. ბეჭედდასმული. ხელნაწერი. მელანი. 1 ც.
12. შაქრო საფაროვის განცხადება რუსთაველის თეატრის ადგილკომისადმი. პენსიის საკითხთან დაკავშირებით.
1923წ. 17 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
13. თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების მანდატი შაქრო საფაროვისადმი, მრეწველთა კლუბის გამგედ ყოფნასთან დაკავშირებით.

- ხელს აწერენ: კომიტეტის თავმჯდომარე ს. ჩხეიძე, მდივანი– გ. სვანიძე. 1923წ. 26 მაისი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
14. ცნობა შაქრო საფაროვის სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის წევრობის შესახებ.
ხელმოწერილი – გვარი არ იკითხება. 1923წ. 10 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 1 გვ.
15. თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების კლუბის კომისრის ცნობა შაქრო საფაროვისადმი, კლუბში მსახურებასთან დაკავშირებით.
ხელს აწერს: კლუბის კომისრის თავმჯდომარე ზ. შავიშვილი. 1923წ. 23 ოქტომბერი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. დაზიანებული. 1 გვ.
16. შაქრო საფაროვის რუსთაველის თეატრის სახელმწიფო დრამის წიგნი.
1925წ. 28 ნოემბერი. დასტამბული. ბეჭედდასმული. 1 ც.
17. რუსთაველის თეატრის მოწმობა შაქრო საფაროვისადმი, თეატრის მუშაობასა და ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.
ხელს აწერენ: რუსთაველის თეატრის გამგე– გვარი არ იკითხება, საქმის მწარმოებელი ვ. გურგენიძე. 1926წ. 6 დეკემბერი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. 1 გვ.
18. შაქრო საფაროვის სავიზიტო ბარათი.
უთარილო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.
19. შაქრო საფაროვის თბილისის მომხმარებელთა საზოგადოების „აღორძინება“ ბილეთი.
უთარილო. ბეჭედდასმული. დასტამბული. 1 ც.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

20. შაქრო საფაროვის მიერ პიესად გადმოკეთებული ანტონ ფურცელაძის რომანი. „მაცი ხვითი“. 1913წ. შაქრო საფაროვის ავტოგრაფი. მელანი. 184 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა

21. შაქრო საფაროვის წერილი მიხეილ გაჩეჩილაძისადმი. სთხოვს, გაუგზავნოს გაზეთები რეალიზაციისათვის.
1908წ. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.
22. შაქრო საფაროვის მისალოცი ბარათი დოსიასადმი (?) ულოცავს ანგელოზის დღეს.
1913წ. 8 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
23. [?] წერილი შაქრო საფაროვისადმი. ატყობინებს, რომ უგზავნის ტრანსფორმირებისათვის პიესების „страшное преступление“ და „Напрасная тревога“ საცენზურო ეგზემპლარებს.
1914წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. საფოსტო ბარათი. 1 ც.

პროგრამები

24. ხარაზოვის თეატრში თბილისის ქართული თეატრის მსახიობ მ.საფაროვისა და სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „მოჯადოებული პრინცი“ და „სამშობლო“ პროგრამა.
1891წ 11 აგვისტო. დასტამბული. ძლიერ დაზიანებული. 1 ც.
25. საზაფხულო თეატრში „ერმიტაჟი“ ქართული თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის, „ქოროლი“ პროგრამა.
1897წ/ 20 ივნისი. დასტამბული. 1 ც.
26. საზაფხულო თეატრში „ერმიტაჟი“ ქართული თეატრის სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „ბაიყუმი“ და „არც აქეთ, არც იქით“ პროგრამა.
1897წ. 20 ივლისი. დასტამბული. 1 ც.
27. ქართული თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის, „ხანუმა“ პროგრამა.
1899წ 12 სექტემბერი. დასტამბული. 1 ც.
28. ნემეცების ბაღში ქართული თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის, „სიყვარული“ და ჯონ მორისის მიერ დადგმული „ვეფხისტყაოსნის“ ბუნდოვანი სურათების პროგრამა.
1900წ 20 აგვისტო. დასტამბული. 2ც 2 ეგზ.
29. ვეტცელის თეატრში ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „შრომის ლუკმა“ პროგრამა.
1905წ. 19 აპრილი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
30. ბათუმის საზოგადოებრივი საკრებულოს შენობაში გამართული იტალიელი მომღერლის, ვან-ბრანდტისა და თბილისის სახაზინო თეატრის ბარიტონის, კ.ზიოლკოვსკის კონცერტის პროგრამა.
1907წ. 18 თებერვალი. დასტამბული. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 ც.
31. ალექსანდროპოლის სახალხო სახლში წარმოდგენილი ქართული დრამატული დასის სპექტაკლის „სამშობლოს“ პროგრამა. 1907წ. 30 აპრილი.
დასტამბული. რუსულ ენაზე, ძლიერ დაზიანებული. 1 ც.
32. არტისტული საზოგადოების თეატრში გამართული ვასო აბაშიძის ბენეფისის პროგრამა.
1907წ. 21 დეკემბერი. დასტამბული ქართულ და რუსულ ენებზე. 1ც.
33. გორში ქართული დრამატული დასის მსახიობებისა და სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „დამარცხებულნი“ პროგრამა.
1908წ. 13 ივლისი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
34. დრამატული კურსების დარბაზში ქართული არტისტების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „დამონებულნი“ და „რომანის ფურცელი“ პროგრამა.
1908წ. 18 ოქტომბერი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 1 ც.
35. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „სამშობლო“ (წარმოდგენა N1) პროგრამა.
1908წ. 14 დეკემბერი. დასტამბული. 1 ც.
36. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლის „Любов Курсистки“ или “ Тепый холодный крия” პროგრამა.
1910წ. 15 იანვარი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.
37. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში მუსულმანური დრამატული წრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „Фахрадин“ (ფახრადინი).
პროგრამა 1910წ. 9 ოქტომბერი. დასტამბული. რუსულ და თურქულ ენებზე. 1 ც.

38. ქართულ თეატრში გამართული ა.შ. შიხინოვის გამგეობით საღამო-მეჯლისის პროგრამა. 1910წ. 19 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
39. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „ნიშანი ყოფაქცევაში“ პროგრამა.
1910წ. 21 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
40. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „მეგობრობა“ პროგრამა.
1910წ. 23 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
41. ქართულ თეატრში გამართული ილია ჭავჭავაძის სახელობის საღამოს პროგრამა.
1910წ. 27 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
42. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „მშობლიურ ჭერქვეშ“ პროგრამა.
1910წ. 28 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
43. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის, „ვიდრე ხვალ უფალო“ პროგრამა.
1910წ. 24 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
44. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში მუსულმანური დრამატული წრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის “кузнец Гяве”(მბეჭდავი გიავე) პროგრამა.
1910წ. 30 ოქტომბერი. დასტამბული. რუსულ და ქართულ ენებზე. 1 ც.
45. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „ნილაზი“ და „ეჭვით ავადმყოფი“ პროგრამა.
1910წ. 31 ოქტომბერი. დასტამბული. 1 ც.
46. ქართულ თეატრში ნ.დ.ერისთავის გამგეობით გამართული საღამო-მეჯლისის პროგრამა.
1910წ. 2 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
47. ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „მირრა ეფროს“ პროგრამა. 1910წ. 4 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
48. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „სატანა“ პროგრამა.
1910წ. 11 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
49. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „იმედის დაღუპვა“ და „მათიკო“ პროგრამა.
1910წ. 13 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
50. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „ედმონდ კინი“ პროგრამა.
1910წ. 14 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
51. ქართულ თეატრში შ.ა.მიქელაძის გამგეობით გამართულ სალიტერატურო-სამხატვრო საღამოს მეჯლისის პროგრამა.
1910წ. 16 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
52. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „ივანობის ღამე“ პროგრამა.
1910წ. 18 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
53. ქართველ სათავადაზნაურო თეატრში მუსულმანური დრამატული წრის მიერ გამართული საღამოს პროგრამა.
1910წ. 19 ნოემბერი. დასტამბული. რუსულ და თურქულ ენებზე. დაზიანებული. 1 ც.

54. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „მეუფეა წყვილია“ პროგრამა.
1910წ. 23 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
55. ქართულ თეატრში კ. ყიფიანის გამგეობით გამართული საღამოს პროგრამა.
1910წ. 27 ნოემბერი. დასტამბული. 1 ც.
56. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში მუსულმანური დრამატული წრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „მაჰ-ნადირ აფაშიძის“ პროგრამა.
1910წ. 1 დეკემბერი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.
57. ქართულ თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლების „დავიდარაბა“ და „ირინეს ბედნიერება“
1910წ. 2 დეკემბერი. დასტამბული. 1 ც.
58. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში მუსულმანური დრამატული წრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „Ягишдань чихдыкч – ягшура душдик“ და „дурсунь или баллибади“ პროგრამა.
1910წ. 17 დეკემბერი. დასტამბული. რუსულ და თურქულ ენებზე. 1 ც.
59. ქართულ თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლის „ჰამლეტი“ პროგრამა.
1910წ. 22 დეკემბერი. დასტამბული. 1 ც.
60. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „კაი გრასი“ პროგრამა.
1910წ. 27 დეკემბერი. დასტამბული. 1 ც.
61. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „გამხმარი ფოთოლი“ პროგრამა.
1910წ. 10 იანვარი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
62. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „სამშობლო“ პროგრამა.
1910წ. 12 იანვარი. დასტამბული. 1 ც.
63. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „შავი ბერი“ პროგრამა.
1910წ. 14 იანვარი. დასტამბული. 1 ც.
64. ქართულ თეატრში აკაკი წერეთლის მონაწილეობით გამართული სალიტერატურო საღამო –მეჯლისის პროგრამა.
1910წ. 5 იანვარი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
65. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „სიმახინჯე“ და „უბედური დღე“ პროგრამა.
1910წ. 16 იანვარი. დასტამბული. 1 ც.
66. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „კრეჩინსკის ქორწინება“ და „სიკვდილი ნაპოლეონისა“ პროგრამა. 1910წ. 17 იანვარი. დასტამბული. 1 ც. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „სამეგრელოს მთავარი ლევან“ პროგრამა.
1910წ. 7 ნოემბერი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
67. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „სამეგრელოს მთავარი ლევან“. პროგრამა.
1910წ. 7 ნოემბერი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
68. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლის „რევიზორი“ პროგრამა.

- 1911წ. 1 იანვარი. დასტამბული. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 ც.
69. ქართული დრამატული დასის მიერ, ვალერიან გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი სპექტაკლის, „სამეგრელოს მთავარი ლევან“ პროგრამა.
1911წ. 16 იანვარი. დასტამბული. 1 ც.
70. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „ებრაელები“ პროგრამა.
1911წ. 22 იანვარი. დასტამბული. 1 ც.
71. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ, ელისაბედ ჩერქევისშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი სპექტაკლების „ნიგილისტიკა“ და „ეკიმთან“ პროგრამა.
1911წ. 27 იანვარი. დასტამბული. 1 ც.
72. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის, „მეფე იოანე მე-4 მრისხანე“ პროგრამა.
1911წ. 2 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 ც.
73. ქართულ სათავადაზნაურო თეატრში წარმოდგენილი ოპერეტის „Мартынь рудокопъ“ (მადაროელი მარტინი) პროგრამა.
1911წ. 4 თებერვალი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.
74. ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „მოჩვენებანი“ და „შემთხვევა“ პროგრამა.
1911წ. 6 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 ც.
75. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „ყაჩაღები“ პროგრამა.
1911წ. 10 თებერვალი. დასტამბული. 1 ც.
76. ქართულ თეატრში გამართული ა.ბ.შიხინოვის სადამო-მეჯლისის პროგრამა.
1911წ. 12 თებერვალი. დასტამბული. 1 ც.
77. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „ციხის საიდუმლო“ პროგრამა.
1911წ. 13 თებერვალი. დასტამბული. 1 ც.
78. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „განწმენდის სასახლე“ და „დარისპანის გასაჭირი“ პროგრამა.
1911წ. 17 თებერვალი. დასტამბული. 1 ც.
79. ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „ორი გმირი“ და „აირია მონასტერი“ პროგრამა.
1911წ. 19 თებერვალი. დასტამბული დაზიანებული. 1 ც.
80. ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „მსხვერპლი“ და „მონადირე“ პროგრამა.
1911წ. 20 თებერვალი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
81. ქართულ თეატრში გამართული ორგინალურ კონცერტ-სადამოს პროგრამა.
1911წ. 15 თებერვალი. დასტამბული. 1 ც.
82. სიღნაღში სამოქალაქო საკრებულო დარბაზში წარმოდგენილი შაქრო საფაროვის უკანასკნელი სპექტაკლების, „კაპიშონი“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე ოქორწინეს“ პროგრამა.
1912წ. 4 ნოემბერი. დასტამბული. დაზიანებული. 1 ც.
83. სახელმწიფო თეატრში გამართული ი.გრიშაშვილის სარამოს პროგრამა.
ახლავს ავტოგრაფები: კ. მაყაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ალ.წუწუნავა, ვ. აბაშიძე, თაგუნა, ს.აბაშელი, ივ.სარაჯიშვილი, ბახუტაშვილი – შულგინა, ტერენტი გრანელი, შ.დადიანი,

- ტ.აბაშიძე, ივ. გომართელი, ელ ჩერქეზიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ს. ინაშვილი, ეკ. და მ. თარხნიშვილები, ნ. გოცირიძე, ს. ყანჩელი, მარიჯანი, ც. ამირეჯიბი, შ. საფაროვი, ი. მჭედლიშვილი, ი. გრიშაშვილი. 1919წ. 24 მარტი. დასტამბული, ძლიერ დაზიანებული. 1 ც.
84. ქართულ კლუბში შაქრო საფაროვის სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილეს აღსანიშნავად წარმოდგენილი სპექტაკლის, „პეპო“ და ოპერეტის „მეჯლისი იტალიელებით“ პროგრამა.
1920წ. 23 მაისი. დასტამბული. 1 ც.
85. ნიკიტინის ცირკის შენობაში წარმოდგენილი ქართველთა სასცენო ამხანაგობის სპექტაკლების „არსენა“ და „ჭკუისა მჭირს“ პროგრამა.
უთარილო. დასტამბული. 1 ც.
86. ქართულ თეატრში გამართული შაქრო საფაროვის და ვ. მატარაძის ბენეფისის პროგრამა.
უთარილო. დასტამბული ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
87. ნემენცების ბაღში ქართული თეატრის მსახიობებისა და სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „კინტო“ და „სუსტი მხარე“ პროგრამა.
უთარილო. დასტამბული, ძლიერ დაზიანებული. 1 ც.
88. საზაფხულო თეატრში ქართული თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის „ზუნწი“ და ჯონ მორისის დადგმული „ვეფხისტყაოსნის“ ბუნდოვანი ცოცხალი სურათების პროგრამა.
უთარილო. დასტამბული, ქართულ და რუსულ ენებზე, ძლიერ დაზიანებული. 1 ც.
89. ნემენცების ბაღში ქართული თეატრის მსახიობებისა და სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების „კინტო“ და „სუსტი მხარე“ პროგრამა.
უთარილო. დასტამბული. 1 ც.
90. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბუნდოვანი სურათების პროგრამა.
უთარილო. დასტამბული. 1 ც.

სხვადასხვა

91. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები.
1908წ. 19 აგვისტო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 2 ც.
92. იოსებ გრიშაშვილის ლექსი მიძღვნილი შაქრო საფაროვისადმი.
1927წ. 9 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
93. იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონიდან“ ამოღებული შაქრო საფაროვის ბიოგრაფიული ცნობები.
პირი: შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან გუნია, მ. ბებუთოვი, ალ. თამაზიშვილი, ნ. გალუსტოვი, ალ. გოცირიძე, გ. თულაშვილი, სულხანიშვილი, ყარაშვილი. 1929. 16 მაისი. ნაბეჭდი. 4გვ. 2 ეგზ.
94. თეატრის კონტრამარკა.
უთარილო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.
95. ნ. აზიანის (დონდაროვისა) წერილი კოტე მესხისადმი. სთხოვს, შუამდგომლობას ალ. სუმბათაშვილი-იუჯინთან, რათა თბილისში აღებული კორესპონდენტის ბილეთით შესძლოს შესვლა, მოსკოვის „დიდ“ და „მცირე“ თეატრებში და დაესწროს სპექტაკლებს მისი მონაწილეობით.
უთარილო. ბლანკი, ხელნაწერი, მელანი. 1 გვ.

